

ათი წერილი მკითხველს

მონობისა და ჩვენ შესახებ

შესვლა: დაბნელება თუ არა შენს
ზოგად ვერა?

და ნახე თუ ნებისმიერ მომენტზე
დაუბრუნდები რა ღია ვერა. რა
ნებისმიერ ვინაობა ვერა, თუ რა
შეიძლება დაბნელება დასრულდეს რა ღია
რამდენად დაბნელება რა ღია,
სადაც დაბნელება ვერა დაბნელება
დასრულდება. ვერა დაბნელება ნებისმიერ
შეიძლება დაბნელება დასრულდება
დასრულდება დაბნელება დასრულდება
დასრულდება დასრულდება დასრულდება
დასრულდება დასრულდება დასრულდება
დასრულდება დასრულდება დასრულდება
დასრულდება დასრულდება დასრულდება

გიგი თევზაძე

ათი წერილი მკითხველს მონობისა და ჩვენ შესახებ

გიგი თევზაძე

კრიტიკული აზროვნების სკოლის წიგნები

გიგი თევზაძე

ათი წერილი მკითხველს მონობისა და ჩვენს შესახებ

რედაქტორი ნესტან რატიანი

ტექსტი © გიგი თევზაძე, 2020

ყველა უფლება დაცულია

Gigi Tevzadze

Ten Letters to the Reader on Slavery and

Ourselves

Editor Nestan Ratiani

Text © Gigi Tevzadze, 2020

All rights reserved

სარჩევი

შესავალი: დავიწყოთ თუ არა მსჯელობა მონობის შესახებ?	7
პირველი წერილი: თანამედროვე მონობა და სურვილების საზოგადოებები.....	11
მეორე წერილი: ჩვენი გარემო, როგორც სურვილების ერთიანობა და მათთან ურთიერთობის სწავლა.	15
მესამე წერილი: მონობის სოციალური სისტემიდან მონობის ფიზიოლოგიამდე	22
მეოთხე წერილი: როგორ გადაიქცევა მონობის ფიზიოლოგია ჯანყის ფიზიოლოგიად	27
მეხუთე წერილი: აგრესიის შესახებ	32
მეექვსე წერილი: აგრესიის წარმოება მონობის საზოგადოებაში	35
მეშვიდე წერილი: ძალაუფლების შეთავაზებების წარმოება.....	38
მერვე წერილი: რელიქტური სისტემები - რა რჩება ძალაუფლების შეთავაზების წარმოების მიღმა..	41

მეცხრე წერილი: რატომ არ არის მონობის საზოგადოება თავისუფლებაზე მიმართული საზოგადოების უბრალო რევერსი.....	44
მეათე წერილი: განათლების ურთიერთობები თუ ეკონომიკური ურთიერთობები?	47

შესავალი: დავიწყოთ თუ არა მსჯელობა მონობის შესახებ?

ამას წინათ ათი წერილი მოგწერე თავისუფლების და ჩვენ შესახებ. იმ წერილებში შევეცადე ამეხსნა, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს თავისუფლება და როგორი უნდა იყოს სახელმწიფო და საზოგადოება, რომელიც თავისუფლების ჩემულ განმარტებას დაემყარება. შენდამი მოწერილ წერილებში შევიმუშავე თავისუფლების ემპირიული განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც, თავისუფლება არის სურვილების მაქსიმალური აღსრულების მდგომარეობა, ხოლო თავისუფლებისკენ, ანუ ჩვენი სურვილების აღსრულებისკენ სწრაფვა არის ჩვენი, ცოცხალი არსებების ბუნებრივი, პირველი მდგომარეობა: ჩვენ ვისწრაფვით ავისრულოთ სურვილები.

ჩვენ ვსწავლობთ, როგორ უნდა ავისრულოთ სურვილები ისე, რომ საკუთარ თავს და, მაშასადამე, გარემოს არ მივაყენოთ ზიანი და ამავე დროს ვსწავლობთ, როგორ უნდა განვასხვაოთ ჩვენი სურვილები სხვისი სურვილებისგან. სურვილების, მათი აღსრულების

სწავლის და ჩვენს სამყაროში არსებული სურვილების აღსრულების სოციალური გზების და მეთოდების შესახებ წინა ათ წერილში დაწვრილებით მოგწერე, ამიტომ, აქ აღარ დავიწყებ მათ გამეორებას.

ამ ახალ ათ წერილში მინდა მოგწერო ჩვენი არსებობის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფორმის შესახებ, რომელსაც მონობა ჰქვია. ადამიანი, როგორც უკვე იცი, იბადება, როგორც სურვილების კომპლექსი, ანუ, თავისუფლებისკენ მსწრაფი. შესაბამისად, ყოველი ჩვენგანის დაბადებითი, პირველი სურვილია სურვილების განხორციელება.

თუკი თავისუფლება სურვილების მაქსიმალური განხორციელებაა, მაშინ მისი ოპოზიცია, მონობა - სურვილების მაქსიმალური შეზღუდვა უნდა იყოს. ეს კი ასეა, როდესაც ცნებების დონეზე ვაზროვნებთ, მაგრამ, გვხვდება თუ არა მონობა ჩვენს სოციალურ და ფიზიკურ გარემოში ისევე, როგორც თავისუფლება?

როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ ვიბადებით ჩვენი სურვილების მაქსიმალურად სწრაფად და დაუბრკოლებლად განხორციელების სურვილით. პირველები, ვინც ამ ჩვენს სწრაფვა/სურვილს აღსრულების შეზღუდვას

უპირისპირებენ, არიან ისინი, ვის გარემოშიც ვიბადებით. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მონობის პირველ გაკვეთილს დაბადებისთანავე ვღებულობთ. ჩვენ დაბადებიდანვე გვასწავლიან, როგორ უნდა შევზღუდოთ საკუთარი სურვილები. მაგრამ ეს სწავლება არ არის მონობის სწავლება - მონობის სწავლებაა, როდესაც გვასწავლიან, თუ როგორ უნდა შევასრულოთ სხვისი სურვილები. მონობის განხორციელების ყველაზე უფრო რთული და დახვეწილი ფორმაა, როდესაც სხვისი სურვილების შესრულება საკუთარი სურვილების შესრულება გგონია. ამის შესახებ მომდევნო წერილებში მოგწერ.

მაშასადამე, მონობა არაა ჩვენი სურვილების შეზღუდვა და გადავადება: ჩვენ ყოველთვის შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი სურვილების აღსრულების შეზღუდვა ჩვენივე სასარგებლოდ ხდება. ხოლო, ის ამბავი, რომ ჩვენი სურვილების აღსრულების გადავადებას გვასწავლიან, მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მომავალში კარგად ვიცოდეთ, თუ როგორ უნდა მივადგინოთ ჩვენი სურვილების განხორციელებას.

მონობა სხვისი სურვილების შესრულებაა. რაც უფრო მეტად ვასრულებთ სხვის სურვილებს, იმდენად ვართ მონები და დამორებული თავისუფლებას. მნიშვნელოვანია, ჩვენი აზროვნება უნდა გავწვრთნათ იმისათვის, რომ განვასხვაოთ, ჯერ ერთი, ჩვენი სურვილების აღსრულების შეზღუდვის და გადავადების სწავლება სხვისი სურვილების შესრულების სწავლებისგან, და მეორე, ჩემი სურვილების აღსრულება სხვისი სურვილების აღსრულებისაგან. ვფიქრობ, ამ ორ განსხვავებაზე გადის ზღვარი თავისუფლების სწავლასა და მონობის სწავლას შორის. ამიტომ, მომდევნო წერილები თავისუფლებას და მონობას შორის განსხვავების აღწერას და ამ განსხვავების აღმოჩენის შესაძლებლობას უნდა მივუძღვნათ.

პირველი წერილი: თანამედროვე მონობა და სურვილების საზოგადოებები

როდესაც გვესმის სიტყვა „მონობა“, ალბათ ყველას წარმოგვიდგება სტერეოტიპული ხატი: შრომისგან დარალულ მონებს პლანტაციის შეიარაღებული ზედამხედველები დარაჯობენ. არ არის გამორიცხული, მონობის ეს სახე დღესაც არსებობდეს, გამონატვის იმდენად უცნაურ ფორმებს იღებს თანამედროვე ცივილიზაცია. მონობის ეს სახე ცხადი და გასაგები უნდა იყოს თითქმის ყველასთვის. ასევე გასაგებია, რომ ასეთი მონობა უნდა დასრულდეს და ამისთვის თითოეულმა ჩვენგანმა ყველა ღონე უნდა იხმაროს. ასევე ცხადია, რომ ამ მონებს, რომლებიც სტერეოტიპულ ხატად ჩნდებიან ჩვენს თავებში, არ აქვთ საკუთრება და მთლიანად თავისი ბატონების და ზედამხედველების ნება-სურვილზე არიან დამოკიდებულები.

მაგრამ, რას მივიღებთ, თუკი დავუშვებთ, როგორც წინა წერილში მოგწერე, რომ მონობა, როგორც თავისუფლებასთან დაპირისპირებული ფენომენი, არა საკუთრების და უფლებების არქონა, არამედ სხვისი

სურვილების შესრულებაა? ეჭვგარეშეა, რომ საკუთრების და უფლებების არქონას მივყავართ მონობამდე, მაგრამ არის კი ეს მონობის სრული და ამომწურავი განსაზღვრება? ხომ არ მიგვათრევს ეს, ერთი შეხედვით, ცხადი განსაზღვრება იმ დროში, როდესაც მონობას მართლაც ამ ორი მოდუსის არქონა აპირობებდა? ეს მართლაც ასე იყო კაცობრიობის არსებობის თითქმის მთელი დროის განმავლობაში, მაგრამ ასეა თუ არა დღესაც? მართალია, შუა საუკუნეებში, თუკი შენ არ გქონდა საკუთრება და არც სხვა სამოქალაქო უფლებები, მათ შორის საკუთრების უფლებაც, მონა იყავი. თუმცა, ეს „უუფლებობა“ არ იყო აბსოლუტური - მთელ რიგ საზოგადოებებში მონების სიცოცხლის და ასევე გათავისუფლების, ანუ განმონების უფლება, ასე თუ ისე, დაცული იყო.

თუმცა, შეგვიძლია თუ არა დარწმუნებით ვთქვათ, რომ თანამედროვე სამყაროში საკუთრების უფლების და სხვა სამოქალაქო უფლებების ნაწილობრივი არქონა განსაზღვრავს მონობას? არამც და არამც! მთელ რიგ სახელმწიფოებში და საზოგადოებებში ეს უფლებები შეზღუდულია, მაგრამ მაინც არ ვამბობთ, რომ ამ საზოგადოების წევრები მონები არიან.

ვფიქრობ, ისევე, როგორც თავისუფლების ინტიუციური ცნების შემთხვევაში, მონობის ინტიუციური ცნებაც არსებობს: თუკი თავისუფლება ჩვენი სურვილების შესრულების მაქსიმალური შესაძლებლობაა, მონობა ჩვენი სურვილების შესრულების მაქსიმალური შეუძლებლობა უნდა იყოს. ანუ, პოზიტიურად რომ გადავაკეთოთ ეს განსაზღვრება, მონობა არის მდგომარეობა, როდესაც შენ ასრულებ სხვის სურვილებს.

სხვისი სურვილების შესრულება მხოლოდ სოციალური პრობლემა არაა. როდესაც წლების განმავლობაში გიმუშავებენ სხვისი სურვილების შესრულების ჩვევას, შენი ორგანიზმი, შენი ტვინი ილაშქრებს ამის წინააღმდეგ, რაც საბოლოოდ ტვინის დისფუნქციით გამოიხატება: ან დეპრესიული, ან აგრესიული, ან ორივე ფორმით. შესაბამისად, მონობის პირდაპირი შედეგი არის დისფუნქცია შენთვის და დიდი პრობლემა შენი გარემოცვისთვის.

ზემოდთქმული სულაც არ ნიშნავს, რომ თანშობილი სურვილები არსებობენ და ვიღაც გინაცვლებს ამ სურვილებს სხვა სურვილებით, რის გამოც შენი

ორგანიზამი ჯანყდება: მთელი ამბავი აღზრდის პროცესშია და მერეც, სხვადასხვა, შენს გარემოში არსებული სურვილების საკუთარ თავზე მორგებაა, რაშიც გეხმარება თავისუფლებაზე ორიენტირებული საზოგადოება, ხოლო მონობაზე ორიენტირებული საზოგადოება ხელს გიშლის.

ის, რომ ჩვენი გარემო სავსეა სხვადასხვა სურვილების შეთავაზებით, არც საიდუმლოა და არც სახიფათო. ეს ასე იყო ყოველთვის. საზოგადოებები, რომლებშიც ვიბადებით, სწორედ სურვილების შეთავაზებებით განსხვავდება ერთმანეთისგან. მთელი ამბავი სწორედ იმაშია, როგორ გვასწავლიან და როგორ ვსწავლობთ ამ შემოთავაზებულ, ობიექტივირებულ სურვილებთან ურთიერთობას.

შემდეგ წერილში შემოთავაზებული, ობიექტივირებული სურვილების და მათთან ურთიერთობის სწავლის შესახებ მოგწერ.

მეორე წერილი: ჩვენი გარემო, როგორც სურვილების ერთიანობა და მათთან ურთიერთობის სწავლა

ჩვენი გარემოს აღწერა მრავალნაირად შეიძლება. ასეთი აღწერები სხვადასხვა წყაროშიც შეგხვედრია და ყოველდღიურ ურთიერთობაშიც გმენია: არსებობს ეკოლოგიური აღწერა, როდესაც ამბობენ, რომ ადამიანი ნელ-ნელა ანადგურებს საკუთარ გარემოს და გარემო ოდესმე უპასუხებს მას; არსებობს ტექნოლოგიური აღწერა, რომელიც გარემოს ტექნოლოგიური (ყველაზე ფართო აზრით) პროგრესის კუთხით აღწერს; არსებობს ფსიქოანალიტიკური აღწერა, როდესაც ჩვენი გარემო ჩანაშობილი სურვილების სივრცედაა აღწერილი და ასე შემდეგ. აღწერა ბევრნაირია და ყოველი მათგანი ჩვენი ყოფის რომელიმე ერთ ან რამდენიმე ფორმას აღწერს. არასწორია იმის თქმა, რომ რომელიმე ეს აღწერა მცდარია მთლიანად, თუმცა ვერც იმას იტყვი, რომ რომელიმე მათგანი მთლიანად და სრულად ასახავს ჩვეს გარემოს.

რა მოხდება, თუკი ჩვენს გარემოს ჩვენი სურვილების განხორციელება/არგანხორციელების ლინზით

შევხედავთ? ჩვენი სურვილები ხომ ის სათვალეა, რომლითაც ჩვენ ჩვენს გარემოს ვაკვირდებით?

და აქვე რომ შევატრიალოთ ეს კითხვა: რამე არის კი ჩვენს სამყაროში ისეთი, რასაც შეიძლება დავაკვირდეთ და ამ დაკვირვებაში ჩვენი ან სხვისი სურვილი არ იყოს ჩართული? პასუხი ამ კითხვაზე არის „არა“, რადგან ასეთი რამ ჩვენს სამყაროში არ არსებობს. როდესაც რამეს ვიმეცნებ, ეს ჩემი ან ჩემი მასწავლებლის სურვილით ხდება, როდესაც რამეს ვაკვირდები, ეს ჩემი ან სხვისი სურვილით არის განსაზღვრული. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ყველაფერი: სურვილი მხოლოდ დასაკვირვებელი ღინზა არ არის. ჩვენი სამყარო სავსეა ობიექტივირებული სურვილებით: ყველა ნივთი, რომელიც ადამიანის მიერ არის გაკეთებული, კონკრეტული სურვილის რეპრეზენტაციაა. შეიძლება ეს მსჯელობა გავაგრძელოთ და წარმოვიდინოთ მეტაფიზიკური სურათი, სადაც ნებისმიერი სიცოცხლე სურვილის შედეგი და რეპრეზენტაციაა, მაგრამ ეს უკვე სხვა მსჯელობის თემაა. დაუბრუნდეთ ჩვენს საზოგადოებას.

როგორც ზემოთ მოგწერე, ყველა ნივთი, რომელიც ადამიანის მიერ არის გაკეთებული, კონკრეტულ სურვილს გამოხატავს. თან ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს სურვილი არ არის არც ერთის და არც ერთი: ადამიანის მიერ შექმნილი ყოველი ნივთი, ყოველი პროცესი, ყოველი სისტემა კონკრეტული სურვილების კომპლექსია. ყოველი ნივთის, მოვლენის შექმნას სჭირდება კონკრეტული ადამიანის ან ადამიანების ორი კონკრეტული სურვილი, ერთი იმისათვის, რომ ის შეიქმნას, ხოლო მეორე - შექმნილმა ნივთმა, საჭიროების შემთხვევაში, რომ შეასრულოს ასევე კონკრეტული სურვილი. მაშასადამე, ყოველი შექმნილი ნივთი, სულ მცირე, ორი სურვილის ერთიანობაა.

თუმცა რეალობაში ასეთი სურვილები გაცილებით მეტია. ნივთები და სისტემები თავის თავში მოიცავენ სურვილების ადძვრის შესაძლებლობებსაც: ნივთები და სისტემები, რომლებიც ჩვენს გარშემოა, ჩვენ გვჭირდება ჩვენი სურვილების აღსრულებისათვის და, ამავე დროს, ჩვენი სურვილებისათვის ფორმების მიცემისათვის. რომ არ არსებობდეს მანქანა, გვექნებოდა თუ არა სწრაფი მანქანით გადაადგილების სურვილი? რომ არ არსებობდეს ალკოჰოლი, გვექნებოდა თუ არა

ალკოჰოლით სტრესის მოხსნის სურვილი? რომ არ არსებობდეს ფსიქონალიტიკოსი, გვექნებოდათ თუ არა სურვილი ფსიქონალიზით მოაგვაროთ თქვენი პრობლემები? სავარაუდოთ, არა.

საქმე ისაა, რომ ჩვენ განსხვავებული სურვილების სამყაროში ვცხოვრობთ და როდესაც ვიბადებით, ვიწყებთ ამ სურვილების საკუთარ თავზე მორგებას. ჩვენს ტვინში წარმოიშობა კონკრეტული გაღიზიანება, რომელიც სურვილის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფორმაა. ჩვენი მშობლები, აღმზრდელები გვთავაზობენ სურვილის ობიექტივაციის კონკრეტულ ფორმებს: რძეს, სხვა სასმელ-საჭმელს, სხვადასხვა სათამაშოს. ასე გვიყალიბდება მჭიდრო კავშირი იმ ფორმასთან, რომელიც ყველაზე კარგად აწყნარებს ჩვენს გაღიზიანებულ ტვინს და ეს კავშირი არსებობს მანამ, სანამ ის არსულებს თავის ფუნქციას - ტვინის აღგზნების ჩაქრობას. ასე ვიწყებთ სურვილების სამყაროსთან ურთიერთობას. ამ ურთიერთობის დაწყებას სწავლა და განათლება ჰქვია.

შესაბამისად, ყველაზე კარგი განათლების და აღზრდის სისტემა ისაა, რომელიც მაქსიმალურად ბევრი

სურვილის შესახებ მოგვცემს ინფორმაციას და მოგვცემს საშუალებას, მოვირგოთ ისინი საკუთარ თავზე. ასეთი სისტემა, ერთი მხრივ, გვასწავლის ჩვენს გარემოში არსებული სურვილების იდენტიფიკაციას და, მეორე მხრივ, გვასწავლის საკუთარი სურვილების ცვალებადობის შესაძლებლობას.

ამიტომაც თანამედროვე სასკოლო განათლების სისტემის მიზანი უნდა იყოს „საკუთარი სურვილების იდენტიფიკაციის და საკუთარი თავის და სხვების დაუზიანებლად მათი აღსრულების შესაძლებლობის სწავლება“.

მაგრამ, რა ხდება მაშინ, როდესაც სურვილების მხოლოდ ერთ სისტემას გვასწავლიან? როდესაც ჩვენ გარემოში არა მრავალფეროვანი, არამედ, მხოლოდ ერთი ტიპის სურვილების ნივთები და სისტემებია დაშვებული? ვფიქრობ, რომ ახლა შენთვის ცხადია, რომ ჩვენ ყველანი სურვილების წარმოების ინდუსტრიაში ვართ ჩართული და ეს ჩვენი, ადამიანების ბუნებრივი მდგომარეობაა. მაგრამ რა ხდება, როდესაც სურვილების მრავალფეროვანი ინდუსტრია ნაცვლდება ერთი ტიპის და სისტემის სურვილების ინდუსტრიით?

როდესაც შენი არჩევანი არ არის, თუ რომელ სურვილს მოირგებ საკუთარ ტანზე, არამედ მკაცრად დაწესებული ერთი ტიპის სურვილების წრეში მიმოიქცევი?

რომ დავფიქრდეთ, ამ წინააღმდეგობას მონობის და თავისუფლების საფუძვლიან განსხვავებამდე მივყავართ: ჩვენ კი ვიბადებით, როგორც თავისუფლებისკენ, საკუთარი სურვილების განხორციელებისკენ მსწრაფი არსებები, რომელიც ჩვენი ფიზიოლოგიური მდგომარეობაა, მაგრამ ამავე დროს, როგორც სოციალური არსებები, ჩვენ ვიბადებით, როგორც მონები: ჩვენი სურვილების განხორციელებისათვის ჩვენი აღმზრდელები და მშობლები მათ მიერ შერჩეულ და დადგენილ ობიექტივირებულ სურვილებს გვთავაზობენ - კონკრეტული საჭმელი, კონკრეტული სასმელი, გართობის კონკრეტული გზა. ამას ვერსად წავუვალთ - ყოველი ჩვენგანის არსებობის დასაწყისში თავისუფლებისკენ ფიზიოლოგიურ სწრაფვას და სოციალურ მონობას. თუმცა ამ უკანასკნელ წინადადებაში ორი ტავტოლოგიაა: მონობა მხოლოდ სოციალურია, ხოლო თავისუფლებისკენ სწრაფვა - ფიზიოლოგიური.

შესაბამისად, თავისუფალი საზოგადოება ისაა, რომელიც თავისუფლებისკენ ფიზიოლოგიურ სწრაფვას გარდაქმნის სოციალურ სისტემად, ხოლო მონობის საზოგადოება ისაა, რომელიც მონობის სოციალურ მდგომარეობას აქცევს ფიზიოლოგიურ სისტემად.

რაკი წინა წერილებში თავისუფალ საზოგადოებაზე მოგწერე, შემდეგ წერილში მოგწერ, თუ როგორ აქცევს მონობის საზოგადოება მონობის სოციალურ სისტემას ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებად და ასევე იმას, რატომ შეიძლება „დასაწყისში“ მონობის ფიზიოლოგიური მოთხოვნილება იყოს მდგრადი.

მესამე წერილი: მონობის სოციალური სისტემიდან მონობის ფიზიოლოგიამდე

მონობის სოციალური სისტემის მონობის ფიზიოლოგიამდე მიყვანა ისევ სურვილების შეთავაზებასა და ამ შეთავაზებასთან შეგუების გზაზე გადის: თუკი ერთი და იგივე სურვილები არის შენთვის და შენი გარემოსთვის შეთავაზებული, მაშინ შენი სხეული და სოციალური რეაქცია კი ეჩვევა ამ შეთავაზებას, მაგრამ ამას არ ეჩვევა შენი ტვინი: ტვინი შეიძლება ცოტა ხნით მოატყუო და შესთავაზო მისთვის არასასურველი, შეუსაბამო სურვილი სიამოვნების მისაღებად, თუმცა ვერ შესთავაზებ ამ სურვილს დიდხანს არასასურველი შედეგების გარეშე. მაგრამ ამის შესახებ, ქვემოთ. ამჯერად მოგწერ, თუ როგორ ხდება მონობის ფიზიოლოგიის ჩამოყალიბება.

თუკი საზოგადოება ისეა მოწყობილი, რომ მასში მხოლოდ ერთ ტიპის, განსაზღვრული და დადგენილი სურვილების შეთავაზება ხდება, ხოლო სხვა, ამ სურვილებიდან განსხვავებული სურვილების აღსრულება მკაცრად ისჯება, ადრე თუ გვიან მთელი საზოგადოება იქნება მომართული იმაზე, რომ მხოლოდ

შემოთავაზებული სურვილების სიმრავლეში მიმოიქცეს და არ დაუშვას სხვა სურვილების შემოჭრა. ეს ხდება, უპირველეს ყოვლისა, განათლების სისტემის მეშვეობით, რომელიც სადამსჯელო-პრევენციულ აპარატად გარდაიქმნება: განათლების სისტემა აწვდის ბავშვებს სურვილების იმ ლეგალურ შკალას, რომელზეც მათ შეუძლიათ იმოძრაონ. გარდა სკოლისა, ასეთ საზოგადოებებში სურვილების დამატებითი შეთავაზებების ინსტიტუტები იქმნება, რომლებიც, შესაძლებელია, ოფიციალურად არალეგალურ, თუმცა სახელმწიფოს მიერ ფარულად დაშვებული სურვილების ამპლიტუდას სთავაზობენ ბავშვებს.

ასეთი კარგად გამოცდილი ქვესისტემებია ნახევრად-ლეგალური კრიმინალური დაჯგუფებები, ან - ლეგალური/სემი-ლეგალური რელიგიური ორგანიზაციები: მათ სახელმწიფო კარგად იყენებს სურვილების შეთავაზების სიმულაციური გამრავალფეროვნებისათვის: პოლიტიკურად და რეალურად ეს ორივე სისტემა სახელმწიფო წარმოების რიგში ზის, თუმცა ორივე გამოიყურება ისე, თითქოს ის სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ, სურვილების მწირი

შკალის გარეთაა და აკრძალულს/სხვას სთავაზობს საზოგადოების წევრებს.

მონობის ფიზიოლოგიამდე დაყვანა, ფიზიოლოგიურად გარდაქმნა სხვანაირად შეუძლებელია: რაც არ უნდა მკაცრი იყოს სურვილების შკალის ოფიციალური დაცვა და შეთავაზება, ჩვენს ტვინებს არ შეუძლია სურვილების ერთგვაროვანი წარმოების ამარა დარჩენა და ითხოვს მრავალფეროვნებას.

არის თუ არა მრავალფეროვნება ტვინის ფიზიოლოგიური მოთხოვნა? ალბათ არის იმდენად, რამდენადაც ყოველი ტვინი განსხვავებულ, თუნდაც ოდნავ განსხვავებულ გარემოში იბადება და ვითარდება. შესაბამისად, პრინციპულად მათ ყველას სხვადასხვა სურვილები, ანდა, სურვილის ნიუანსები უნდა აკმაყოფილებდეს. ირკვევა, რომ, იმდენად ჩამოყალიბებული და ობიექტივირებული სურვილების უსასრულო მრავალფეროვნება კი არ არის ტვინების მიერ მოთხოვნილი - ეს შეუძლებელია - არამედ ამ სურვილების უსასრულო ნიუანსირების შესაძლებლობა. ეს კი მხოლოდ ისეთ სოციალურ სისტემაშია

შესაძლებელი, რომელიც სურვილების და სურვილების ნიუანსების უსასრულო შესაძლებლობას უშვებს.

ახლა ვნახოთ, როგორ იქცევა სისტემა, როდესაც ასეთი მრავალფეროვნების არიდება უნდა თავიდან? ის ცდილობს, არ გაექცეს საწყისი მრავალფეროვნება. ამიტომ რადიკალურ, სოციალურ მონობაზე ორიენტირებულ საზოგადოებებში ცდილობენ, ტვინების საწყისი განვითარებაც ერთგვაროვანი გახადონ, ერთ სოციალურ გალიაში მოაქციონ იმისათვის, რომ ტვინების განსხვავება გამორიცხონ და მათ, როდესაც ამის დრო მოვა, მკაცრად ჩამოყალიბებულ-განაწილებული ობიექტივირებული სურვილების სქემა დაახვედრონ. ასე ხდება მონობის ფიზიოლოგიურ სისტემად გადაქცევა - ტვინის განვითარების შეზღუდვით, მისი სურვილების-ჩარჩოში მოთავსებით.

თითქოსდა ეს მართლაც მუშაობს და სოციალური მონობის უზრუნველყოფ რეჟიმებს უჩნდებათ წარმოდგენა, რომ მათ მიერ მიღებული ზომები ქმედითია: სისტემა მუშაობს, ადამიანები ადვილად ჯდებათ შემოთავაზებული სურვილების სქემაში.

მაგრამ ყოველთვის არსებობენ ისინი, ვისაც შემოთავაზებული სურვილების სქემიდან განსხვავებული უნდათ. თავიდან მათი რიცხვი მცირეა და მათი შეკავება/გაქრობა ადმინისტრაციული კონტროლით ადვილად შეიძლება. მაგრამ თანდათან მათი რიცხვი იზრდება და ბოლოს მათი კონტროლი არსებული მეთოდებით შეუძლებელი ხდება.

შემდეგ წერილში ამ კონტროლის დაკარგვის მექანიზმებზე მოგიყვები.

მეოთხე წერილი: როგორ გადაიქცევა მონობის ფიზიოლოგია ჯანყის ფიზიოლოგიად

მთავარი მიზეზი, რაც იწვევს მონობის ფიზიოლოგიის ჯანყის ფიზიოლოგიად გადაკეთებას, დროა. თავიდან, როცა მმართველები სურვილების აუცილებელ დიაპაზონებს ადგენენ, ისინი, ასე თუ ისე, შეესაბამებიან არსებულ რეალობას და ამ სურვილებიდან გადახვევა ან სხვის მოთხოვნა მარგინალურად ითვლება. მაგრამ, სწორედ იმიტომ, რომ ცენტრალიზებული, ავტორიტარული მმართველობა ნელა ირჩება, ერთი მხრივ, ბიუროკრატიული აპარატის, ხოლო, მეორე მხრივ, თვითონ მმართველების ინტერესების გადაკვეთების გამო, სურვილების ეს დადგენილი დიაპაზონი ძალიან დიდხანს რჩება უცვლელი.

ამიტომ, ნელ-ნელა სურვილების დადგენილი დიაპაზონი სულ უფრო და უფრო შეუსაბამო ხდება, როგორც გარემოს, ასევე იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ამ გარემოში ცხოვრობენ. ამის მიზეზი ძირითადად ტექნოლოგიების შემოსვლაა - ტექნოლოგიების შემოსვლას მმართველები ვერ ეწინააღმდეგებიან, მათაც, ისევე, როგორც ყველა

მმართველს, ამოძრავებთ სურვილი, რომ სურვილების წარმოებას მეტი და მეტი მოგება (მატერიალური და არამატერიალური) მოჰქონდეს.

მაგრამ ტექნოლოგიების შემოსვლას ახალი სურვილებიც მოჰყვება, რომლებიც ნელ-ნელა დომინანტური ხდება. ამის შემდეგ მალე დგება დრო, როდესაც ტექნოლოგიებით შემოსული სურვილების დიაპაზონი რადიკალურად განსხვავდება მმართველების მიერ წლების წინ დადგენილისგან: შესაბამისად, საზოგადოების ყოველ წევრს უკვე მნიშვნელოვნად განსხვავებული სურვილები აქვს იმისგან, რასაც მმართველობა სთავაზობს. შესაბამისად, საზოგადოების წევრებს, ასევე აქვთ სურვილი, რომ მსგავსი შემოთავაზება არ მიიღონ და რომ სურვილების შემოთავაზება მათ საზოგადოებაში გამრავალფეროვანდეს.

თუმცა უკვე ნომინალურად მონური ფიზიოლოგიის საზოგადოებაში ყოველთვის არის ადამიანების ჯგუფი, რომელსაც არ უნდა სურვილების არსებულ ინდუსტრიაზე უარის თქმა. ისინი ამბობენ, რომ სურვილების არსებული დიაპაზონი მათთვის

საკმარისია. ასეთი ადამიანები, როგორც წესი, გარკვეული ძალაუფლების მფლობელები არიან და სურვილების მრავალფეროვნების არარსებობა მათთვის ძალაუფლების არსებობით კომპენსირდება.

ის, რომ ადამიანების უმეტესობას უკვე ჯანყის ფიზიოლოგია აქვს, ანუ ის, რომ მათი ტვინი და ორგანიზმი არ თანხმდება შემოთავაზებული სურვილების დიაპაზონს და უნდა ახალი სურვილების გარემო, არ ნიშნავს იმას, რომ ჯანყი ხორციელდება, ცუდები სახლში მიდიან და კარგები სურვილების მრავალფეროვან წარმოებას ამყარებენ.

როგორც უკვე მოგწერე, ყოველთვის არიან ადამიანები, რომლებიც სურვილების შეზღუდული დიაპაზონის საზოგადოებას იცავენ, იმის გამო, რომ მათი სურვილების სიმწირე თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც ძალაუფლების ფლობით კომპენსირდება. ამიტომ, საზოგადოებაში არსებული სისტემის გამოცვლა, რომელიც შეზღუდული დიაპაზონის განსაზღვრულ სურვილებს აწარმოებს, შეიძლება უსასრულოდ დიდხანს გაგრძელდეს და მასიურად აწარმოოს არა

მონის ფიზიოლოგიის ადამიანები, არამედ ჯანყის ფიზიოლოგიის ადამიანები.

ჯანყის ფიზიოლოგიის ადამიანების წარმოება იზრდება და იზრდება და ბოლოს სისტემა მათ პასუხად იწყებს არა სურვილების შეზღუდული დიაპაზონის, არამედ ძალაუფლების დიაპაზონის შეთავაზებების წარმოებას, რაც საბოლოოდ მთლიანად ანაცვლებს სურვილების შეზღუდული დიაპაზონის წარმოებას. ამ უკანასკნელის წარმოება რელიქტური ხდება, ის სადღაც სოციალური სივრცის კუთხეშია მიგდებული და ასე ვიღებთ საზოგადოებას, რომელშიც ჯანყის ფიზიოლოგია უპირისპირდება ძალაუფლების შეთავაზებების წარმოებას.

სანამ ძალაუფლების შეთავაზებების წარმოების აღწერაზე გადავიდოდე, მანამდე მინდა ორიოდ სიტყვით მოგწერო, რას ნიშნავს ჯანყის ფიზიოლოგია მისი მატარებელი ადამიანისთვის: ჯანყის ფიზიოლოგია ისეთი მდგომარეობაა, როდესაც აღგზნებული ტვინის ერთადერთი ჩამქრობი არის ყველა შემოთავაზებულ სურვილზე უარის თქმა: ამ დროს ტვინს უკვე ნასწავლი აქვს, რომ მხოლოდ უარით

და უარყოფით მიადწევს ტვინის ადგზების ჩაქრობას და სიამოვნებას. ეს უარყოფა სოციალურ პროექციაში გამოიხატება, როგორც ნარკოტიკებზე დამოკიდებულად ქცევა, დეპრესია და მსგავს საზოგადოებებში ყველაზე წარმატებული ჯანყი - აგრესია. ამიტომ, სანამ ძალაუფლების შეთავაზების წარმოების შესახებ მოგწერდე, შემდეგ წერილში აგრესიის, როგორც ჯანყის ფიზიოლოგიის მატარებელი ადამიანის, წარმატებული პასუხის შესახებ მინდა მოგწერო.

მეხუთე წერილი: აგრესიის შესახებ

როგორც წინა წერილში მოგწერე, აგრესია არის ტვინის პასუხი მაშინ, როდესაც გარემო ვერ გთავაზობს სურვილის იმ მოდუსებს, ფორმებს, რომლებსაც შენი ტვინის ადგზნების ჩაქრობა შეუძლიათ.

რატომ აგრესია? თუ დაფიქრდები, ადვილად მიხვდები, რომ აგრესიის განხორციელებას ფიზიოლოგიურად იგივე შედეგები აქვს, რაც სურვილების განხორციელებას: ტვინში ოპიოიდური რეცეპტორები იწყებენ დამამშვიდებელი ნივთიერებების გამოყოფას და ტვინი მშვიდდება, აღარაა ადგზნებული. ოღონდ, ცხადია, იგივე არ ხდება იმ [სოციალურ] გარემოში, სადაც ადგზნებული ტვინის აგრესიულობის პროცირება ხდება.

აგრესია არის ორგანიზმის პასუხი მაშინ, როდესაც ადგზნებულ ტვინს ვერაფერი ვეღარ აწყნარებს გარემოში - ვერც ობიექტივირებული სურვილების შეთავაზება, ვერც ადგზნების ხელოვნურად ჩამქრობი ნივთიერებები (ნარკოტიკები, ა.შ.). ასეთ შემთხვევაში ტვინის ადგზნება იზრდება და ტვინი ითხოვს საკუთარი

სხეულისგან სასწრაფოდ მოძებნოს ისეთი რამ, რაც ოპიოიდური რეცეპტორების მუშაობას გაააქტიურებს და ჩააქრობს ადგზნებას; წინააღმდეგ შემთხვევაში ტვინს დეგრადაცია და „გაფუჭება“ ემუქრება. სხვათა შორის, იგივე მექანიზმი მუშაობს თვითმკვლელობისას: ასფიქსიის დროს ტვინში იპიოიდური რეცეპტორები აქტიურდებიან.

ერთი პერიოდი აგრესიის შესახებ მოფიქრალ ადამიანებს ეგონათ, რომ აგრესია ტვინის ნორმალური მდგომარეობაა და ის, მაგალითად, ეხმარება მტაცებლებს, გამოიმუშაონ ნადირობის ქცევა, ზოგადად ინდივიდებს - იყვნენ წარმატებულნი საზოგადოებაში; ანუ ისინი ფიქრობდნენ, რომ აგრესია ტვინის თვისებაა და აგრესიის „სწორად მიმართვით“ ინდივიდები აღწევენ სოციალურ თუ პირად წარმატებას.

თანამედროვე მეცნიერება სულ უფრო და უფრო იხრება იმ აზრისკენ, რომ აგრესია ტვინის თვისება კი არა, ტვინის ადგზნებული, ჩაქრობის ვერშემძლე ტვინის პროექციაა და არაფერი კავშირი არც სოციალურ წარმატებასთან და არც ტვინის ნორმალურ პროცესთან არ აქვს.

რა ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოება [და სახელმწიფო] ვერ აწარმოებს სურვილების დიაპაზონს? რა ხდება, როდესაც სურვილების წარმოება მარგინალურია, უსარგებლო სისტემაა, იმიტომ, რომ მონობაზე დამყარებულ სუპერცენტრალიზებულ სისტემას არ შეუძლია დროის და ვითარების ადეკვატური სურვილების წარმოება?

ასეთ დროს სისტემა, იმისათვის, რომ საკუთარი თავი შემანარჩუნებელი ძალებით უზრუნველყოს, სურვილების წარმოების ნაცლად, იწყებს აგრესიის წარმოებას, რომელიც, ძალაუფლების წარმოებასთან ერთად, საბოლოოდ მონობის საზოგადოების ღერძი და განმსაზღვრელი ხდება.

მექვესე წერილი: აგრესიის წარმოება მონობის საზოგადოებაში

მონობის საზოგადოებაში აგრესიის წარმოება თანდათან ანაცვლებს სურვილების წარმოებას: სურვილი ნელ-ნელა მეორეხარისხოვანი ხდება, ხოლო აგრესია, როგორც სურვილის მიღწევის გზა - პირველხარისხოვანი.

აგრესიის წარმოებას მონობის საზოგადოების მმართველები ძალაუფლების წარმოების ინსტიტუციონალიზაციით ახდენენ: როგორც წინა წერილებში მოგწერე, მონობის საზოგადოებაში დგება დრო, როდესაც სურვილების წარმოების ჩანაცვლება ხდება ძალაუფლების წარმოების ჩანაცვლებით.

სანამ ძალაუფლების წარმოების აღწერაზე გადავალ, მოკლედ აგიხსნი, როგორ ხდება მონობის საზოგადოებაში აგრესიის წარმოება. როდესაც სურვილების შეთავაზება, ობიექტივირებული სურვილების სიმცირის და მკაცრი განსაზღვრულობის გამო, სულ უფრო და უფრო მარგინალურ ფორმას იღებს, იწყება ყურადღების მიქცევა წარმატებულობის

კონკრეტული მექანიზმებისკენ: თუკი არ სწავლობ და არ გასწავლიან, როგორ უნდა მიაღწიო სურვილის შესრულებას, მაშინ, სავარაუდოა, რომ, როგორც სურვილების წარმოება, ასევე მათი მიღწევის სწავლება ხდება სტიქიურად, საზოგადოების წევრების პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ამ დროს, როგორც გახსოვს, ტვინის, რომელსაც არ აქვს ნასწავლი ადგზნების ჩაქრობის გზები, ადგზნება პიკს აღწევს და სოციალურად პროეცირდება აგრესიაში. შედეგად, უმრავლესობის გამოცდილებაში სურვილის შესრულება და დასახული მიზნის მიღწევა აგრესიასთან ბმაში და ასოციაციაში განიხილება. შესაბამისად, სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი უკავშირებს წარმატებას აგრესიულობას და აგრესიულობის სხვადასხვა ფორმები იოლად ანაცვლებს სურვილების მიღწევის ფორმებს.

სურვილების განხორციელების მასწავლებელი საზოგადოებისგან განსხვავებით, მონობის საზოგადოებაში საკუთარი გარემოს ზიანი არა ნაკლი, არამედ წარმატების ნიშანია - აგრესიულობა ითხოვს საკუთარი წარმატების ინდიკატორს და ეს ინდიკატორი

არის ის ზიანი, რომელიც კონკრეტულმა აგრესიამ მიაყენა გარემოს.

სურვილების ინსტიტუციონალიზაციის და მიღწევის მექანიზმების სწავლების მოშლა, რაც, როგორც უკვე მოგწერე წინა წერილებში, მონობის საზოგადოების გარდაუვალი შედეგია, საზოგადოებაში იწვევს აგრესიულობის იერარქიის წარმოქმნას, რომელშიც აგრესიულობის წარმატებულობით იზომება გავლენაც და ძალაუფლებაც.

ოღონდ როგორ ითარგმნება აგრესიულობა ძალაუფლების წარმოების სისტემაში, ანუ როგორ ახდენს მონობის საზოგადოება აგრესიულობის კონვერტირებას ძალაუფლების კონკრეტულ ადგილებში და სისტემებში, ამის შესახებ მომდევნო წერილში მოგწერ.

მეშვიდე წერილი: ძალაუფლების შეთავაზებების წარმოება

მონობის საზოგადოებაში მთელი განათლების სისტება ძალაუფლების შეთავაზებაზეა აწყობილი. მკაცრი იერარქიული სტრუქტურა, უნიფიცირებული სასწავლო გეგმა - ყველაფერი განაპირობებს მოსწავლის დარწმუნებას, რომ ცოდნაზე და უნარებზე უფრო მნიშვნელოვანია, თუ რა ადგილი გიკავია სოციალურ ვერტიკალში. მით უმეტეს, რომ როდესაც სკოლიდან არასკოლურ ცხოვრებას უბრუნდები, იქაც იგივე სურათი ხვდება.

შესაბამისად, მონობის საზოგადოება განათლების სისტემის ფორმით ნიღბავს ძალაუფლების შეთავაზებების და მიღების სისტემაზე აგებულ მკაცრ სოციალურ იერარქიას. „თავისუფლების საზოგადოებაც ხომ ასეთია!“ - მეტყვი შენ. კი, ასეთია, მაგრამ თავისუფლების საზოგადოებაში ძალაუფლების ადგილები ერთმანეთთან სუსტ ან საერთოდ არანაირ იერარქიულ წესრიგში არ არიან მოყვანილი, მონობის

საზოგადოებაში კი ძალაუფლების ყველა ადგილი ერთმანეთთან მკაცრ იერარქიულ დამოკიდებულებასთან.

მონობის საზოგადოება გეუბნებათ, რომ არა აქვს მნიშვნელობა, რას ისწავლი და როგორ ისწავლი. მთავარია, სწავლის პროცესში დამალული, დაფარული ძალაუფლების სტრუქტურა ამოიცი, მიაგნო მას და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებ იერარქიაში ადგილის დაკავებას.

ამიტომ, მონობის საზოგადოების განათლების სისტემა სულ მცირე ორშრიანია: ერთი ის, რაც არსებობს, როგორც განათლების ფორმალური სისტემა და მეორე ის, რაც ამ სისტემის ქვეშაა, დამალული და ელოდება აღმოჩენს. სინამდვილეში მონობის საზოგადოება ძალაუფლების შეთავაზებას განათლების სისტემის საშუალებით ახორციელებს აგრესიულობის სხვადასხვა დონის და ხარისხის შეთავაზებით. ამიტომაცაა, რომ მონობის საზოგადოებაში „ქურდული“ და „ბანდური“ სისტემის კულტივაცია განათლების სისტემის აუცილებელი თანამდევია. იმიტომ, რომ ეს შეთავაზება სწორედ ისაა, რასაც საზოგადოება სთავაზობს ახალგაზრდას და არა სახელმწიფოს მიერ

ნებადართულ სახელმძღვანელოებში მოთავსებული, ხშირად უკვე მოძველებული ცოდნის მოცულობა.

ზემოდთქმულიდან გამომდინარე, საკუთარი თავის შენარჩუნებისათვის მონობის საზოგადოება ძალაუფლების შეთავაზების სისტემით ანაცვლებს განათლების სისტემას და შედეგად იღებს ტოტალიტარულ სისტემას, რომელიც საწყის ეტაპზე შეიძლება წარმატებული და ეფექტიანია იმიტომ, რომ არსებული ცოდნის და გამოცდილების სრული ექსპლუატაცია ხდება. შემდეგ კი, დროთა განმავლობაში, როდესაც კონკრეტული ცოდნის და გამოცდილების მატარებლების რესურსი ამოიწურება (ადამიანები, უბრალოდ, კვდებიან), მონობის საზოგადოება ხდება ძალაუფლების განაწილებაზე და ძალაუფლების შეთავაზების წარმოებაზე დაყრდნობილი სრულიად არაკომპეტენტური ადამიანების თავყრილობა, რომელთა არაკომპეტენტურობას საზოგადოება კოლაფსამდე მიჰყავს.

მერვე წერილი: რელიქტური სისტემები - რა რჩება ძალაუფლების შეთავაზების წარმოების მიღმა

ახლა კი ვნახოთ, რა რჩება ძალაუფლების შეთავაზების წარმოების ამ რთული და მრავალშრიანი სისტემის მიღმა, რა რჩება აგრესიის წარმოების და კვალწარმოების იქით?

ამის შესახებ წინა წერილშიც მოგწერე, როცა აგისენი, რომ ძალაუფლების შეთავაზების და აგრესიის წარმოების სისტემის მიღმა დარჩენილი განათლების სისტემა თავის ნებაზეა მიშვებული: მთავარია, აგრესიის და ძალაუფლები წარმოების შეთავაზების ცენტრალიზებულ-იერარქიულ სისტემას არ შეუშალოს ხელი. ამიტომ, ასეთ სისტემაში საინტერესო მოძრაობები ხდება:

როგორც გითხარი, მონობის საზოგადოებაში არავინ არ ზრუნავს განათლების სისტემაზე, შესაბამისად, ყველა, ვინც განათლების სისტემის აქტორია, ცდილობს, საკუთარი წესები დაამყაროს და ძალაუფლების ახალი სივრცეები შექმნას. როგორც წესი, ყველა ეს სივრცე კორუფციულია და საბოლოოდ, თუკი რომელიმე ასეთი

სივრცე წარმატებით დაინერგება, ის ისევ ძალაუფლების შეთავაზების წარმოების რიგში ჩაჯდება.

რაც რჩება, განათლებისთვის და კვლევისთვის არის შემთხვევითი გადახრები, რომლებიც ხანდახან აწარმოებენ შედეგს, ოღონდ, რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში არსებობს მონობის საზოგადოება, მით უფრო და უფრო იშვიათად.

ამ იშვიათობის მიზეზი კი კვლავ ისაა, რაც ადრე მოგწერე: თავიდან, მონობის საზოგადოების გამარჯვებიდან, პოლიტიკური ელიტა ჯერ კიდევ აკონტროლებს მეცნიერების და ტექნოლოგიების სფეროს და ცდილობს არსებული (რაც დახვდა) დონე შეინარჩუნოს/განავითაროს. დროთა განმავლობაში, როდესაც აგრესიის და ძალაუფლების შეთავაზების წარმოება მისთვის გადამწყვეტი ხდება, მონობის საზოგადოების მმართველები იძულებულნი ხდებიან, დაემორჩილონ თვითგადარჩენის ინსტინქტს და, საკუთარი კვლევის და ტექნოლოგიის განვითარების ნაცვლად, შემოტანილის, იმპორტირებულის იმედზე დარჩნენ.

სწორედ აქ არის პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არის მონობის საზოგადოება დროში შეზღუდული და რატომ ნადგურდება ის ყოველთვის. მიზეზი „მარტივია“ - უუნარობა, აწარმოოს განათლების სისტემა აგრესიის და ძალაუფლების შეთავაზების წარმოების პარალელურად. ამიტომ, განათლებითი ურთიერთობები, რომლებიც ნებისმიერი საზოგადოების საფუძველია, კვდება. შესაბამისად, საზოგადოება, რომელშიც განათლებითი ურთიერთობები ჩანაცვლებულია აგრესიის და ძალაუფლების შეთავაზების წარმოებით, თვითნადგურდება.

მეცხრე წერილი: რატომ არ არის მონობის
საზოგადოება თავისუფლებაზე მიმართული
საზოგადოების უბრალო რევერსი

როდესაც ამ წერილების წერა დავიწყე, მეგონა, მარტივი საქმე იქნებოდა, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ წერილები თავისუფლების შესახებ უკვე მოწერილი მქონდა. ამიტომ ჩავთვალე, რომ მარტივად დავწერდი იმის საწინააღმდეგოს, რაც თავისუფლების შესახებ წერილებში აღვწერე.

დიდი იმედი მქონდა, რომ „თვითმმართველობის“ მაგივრად, დავწერდი „ცენტრალიზებული მმართველობის“ შესახებ, „საკუთარი სურვილების მართვის“ მაგივრად - „სხვისი სურვილების განხორციელების“ შესახებ, „სხვების მიერ ჩვენი საკუთარი სურვილების მართვის“ შესახებ და ამით მონობის შინაარსზე საუბარს დავასრულებდი.

წერის პროცესში აღმოჩნდა, რომ მონობა სულაც არ ყოფილა შეტრიალებული თავსუფლება და არც თავისუფლების შეტრიალებით მიიღებოდა მონობა. როგორც ჩანს, თუ თავისუფალი არ ხარ, ეს ჯერ კიდევ არ

ნიშნავს იმას, რომ მონა ხარ. ბოლო დებულება თითქოს თავისთავად ცხადია, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში „ინტუიციურად“ გვგონია, რომ თავისუფლების წართმევა ავტომატურად ნიშნავს მონობაში ჩავარდნას. არადა, ეს სულ არ გამომდინარეობს აუცილებლობით. შეიძლება სხვისი სურვილების შესრულება დაიწყო, ეს ხდება მაშინ, როცა, დეცენტრალიზებული განათლების სისტემა და სხვა მმართველობითი სისტემები კლანებს, გავლენის მცირე ჯგუფებს ჩაუვარდებათ ხელში, ასევე, შესაძლებელია, პოლიციამ ადგილობრივი ოლიგარქების სურვილების მიხედვით დაიწყოს წესრიგის დამყარება. მაგრამ ეს, როგორც გამოირკვა ამ წერილებში, სულაც არ ნიშნავს მონობაში მოხვედრას: ჯერ კიდევ არის დატოვებული ადგილი თავისუფლებისათვის, შეიძლება მცირე, მაგრამ მაინც. ამ შეთხვევაში შენ არათავისუფალი ხარ, თავისუფლება გაკლია, მაგრამ არც მონობაში ხარ.

მონობა იწყება მაშინ, როდესაც:

1. განათლების სისტემა აგრესიულობის წარმოებას იწყებს და როდესაც განათლების სისტემა მოსწავლეს სთავაზობს აგრესიას, როგორც პრობლემების გადაჭრის

უნივერსალურ გზას; აგრესიულობა, ანუ სხვისი დამონება არის ერთადერთი ლეგიტიმური გზა, იყო წარმატებული კონკრეტულ საზოგადოებაში;

2. ძალაუფლების ადგილების შეთავაზების წარმოება იკავებს ცოდნის და გამოცდილების წარმოების და კვლავწარმოების ადგილს. ამ შემთხვევაში ხდება ძალაუფლების ადგილების შეთავაზება, ხოლო ამ ადგილების დაკავება აგრესიის კარგი განხორციელებითაა შესაძლებელი.

ასე იკვრება მონობის წრე, რომელიც საბოლოოდ ანადგურებს მონობის საზოგადოებას. მასში უკვე აღარაფერია, რაც ცოდნის და გამოცდილების წარმოებას უწყობს ხელს - ეს უკანასკნელნი პირად ენთუზიაზმზე ან, რაღაც შემთხვევაში, აგრესიის გასაძლიერებლად იწარმოება. ამიტომ, მონობის საზოგადოება ყოველთვის იძულებულია, დათმოს საკუთარი თავი, თუნდაც მმართველი ფენის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

შემდეგ წერილში მოგწერ, თუ რატომ არის ნებისმიერი საზოგადოება ასე სასიცოცხლოდ დამოკიდებული ცოდნისა და გამოცდილების წარმოებაზე.

მეათე წერილი: განათლების ურთიერთობები თუ ეკონომიკური ურთიერთობები?

და ბოლოს, მინდა მოწერო, თუ რა დევს ნებისმიერი საზოგადოების საფუძველში, რა ამოძრავებს მას, რა აძლევს მას სასიცოცხლო ძალას და „სინამდვილეში“ რაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ საზოგადოების არსებობა.

დღეს ფართოდაა გავრცელებული ვითომდა საყოველთაო სადი აზრი, რომ ნებისმიერ საზოგადოებას საფუძვლად ეკონომიკური ურთიერთობები უდევს. თითქოსდა ეს მართლაც ასეა: ეკონომიკა არის ყველაფერში, ის გვაცოცხლებს, გვაძლევს არსებობის საშუალებას, გვაძლევს მიზნების შესრულების და ასევე ვერშესრულების შესაძლებლობას, გვზომავს, გვიდგენს წარმატების ინდიკატორებს და ა.შ.

ადამიანისთვის, ვინც საქმეში არაა ჩახედული, ისე ჩანს, რომ ეკონომიკა და ეკონომიკის კანონები ისევე ხსნის და ხელშესახებად აქცევს საზოგადოების არსებობის წესებს, როგორც მათემატიკა - ბუნების არსებობის

წესებს. რომ არა მათემატიკა, გეტყვის მავანი, არ გვეცოდინებოდა, როგორ მუშაობს მიზიდულობის ძალა, როგორ ავაშენოთ სახლი, როგორ გავაკეთოთ მანქანა. ამ ლოგიკით, მათემატიკა გვაძლევს საშუალებას, ისე მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება სამყაროში, როგორც გვინდა და არ განვიცადოთ წარუმატებლობა. დიახ, ეს ასეა. მაგრამ, გვეუბნება თუ არა მათემატიკა რამეს თავად სამყაროს შესახებ? იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათემატიკურ გამოთვლას ექსპერიმენტული, ან პრაქტიკული დადასტურება აქვს, ამით შედეგი საკუთარ გამოსაღებობას, და არა სამყაროს თვისებას მიუთითებს. მათემატიკა არაფერს გვეუბნება გვეუბნება სამყაროს შესახებ და გვეუბნება მხოლოდ იმას, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ამ სამყაროში. ზუსტად ამის ანალოგიურია ეკონომიკის მიმართებაც საზოგადოებასთან: ეკონომიკა და ეკონომიკური კანონები არაფერს გვეუბნება საზოგადოების შესახებ, არამედ, იმას, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ საზოგადოებაში.

განსხვავებით ბუნებისგან, ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროსგან, რომლის შემეცნებაც ჩვენი გრძნობის ორგანოებით და ამ გრძნობის ორგანოების

მილიონობით წლის ევოლუციის განმავლობაში ჩამოყალიბებული წესებითაა შემოსაზღვრული, საზოგადოება შედგება საზოგადოების წევრებისგან და საზოგადოებას ამ წევრების ურთიერთობა ქმნის.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ განსხვავებით ფიზიკური სამყაროსგან, ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ და ჩაწვდეთ, რა დგას ეკონომიკური წესების უკან, ანუ შეგვიძლია გავიგოთ არა მარტო საზოგადოებაში წარმატებული ცხოვრების წესები, არამედ ისიც, თუ რა უდევს საფუძვლად საზოგადოებას, რა ქმნის და რა ცვლის მას.

ცხადია, ასეთი დამოკიდებულების შედეგად უტილიტარისტული შეიძლება გვეგონოს: საზოგადოების არსებობის წესების გაგება ხომ დამეხმარება უკეთ გავიგო, როგორ უნდა ვიცხოვრო წარმატებულად საზოგადოებაში?! ცხადია, დაგვეხმარება, მაგრამ, განსხვავებით ეკონომიკური კანონებისგან, არ ვფიქრობ, რომ ამის გაგება პირდაპირ სარგებელს იძლეოდეს: ეს იგივეა, ზუსტად იცოდე სამყაროს უმცირესი შემადგენელი ელემენტები (არ შეგვიძლია, მაგრამ წარმოვიდგინოთ) და, აქედან გამომდინარე, პირდაპირ დააკავშირო ეს ცოდნა სწრაფი

მანქანის აგებასთან: ამისთვის ეს ცოდნა მათემატიკურ ენაზე უნდა თარგმნო, შემდეგ ექსპერიმენტულად შეამოწმო და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მანქანის აგება.

ზუსტად ასევეა საზოგადოების მიმართ: ცოდნა იმის შესახებ, თუ რა არის ნებისმიერი საზოგადოების ძირითადი ურთიერთობა, სათუთა, დაგვეხმაროს ეკონომიკურ წამატებაში, მაგრამ, ნამდვილად გამოდგება ამ ეკონომიკური ურთიერთობების ისეთ წარმართვაში, რომ სარგებელი მაქსიმალურად ყველამ მივიღოთ.

ეკონომიკური ურთიერთობები არ არის საზოგადოების შემქმნელი ურთიერთობა, რადგან ის გვეუბნება, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ წარმატებულად ამ საზოგადოებაში, მაგრამ არ გვეუბნება სხვა ურთიერთობებზე, რომლებიც, თუკი ეკონომიკური ურთიერთობა ძირითადია, მისგან უნდა გამოდინარეობდნენ.

მაშინ, რა არის საზოგადოების ძირითადი ურთიერთობა, მისი არა რელატიური, არამედ მყარი შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი?

დავინწყით თავიდან:

როდესაც ადამიანი იწყებს სოციალიზაციას, მას ასწავლიან, რა და როგორ არის დაშვებული/მიღებული/ნებადართული/აკრძალული კონკრეტულ საზოგადოებაში. ეს სწავლა გრძელდება მთელი ცხოვრება. ხანდახან ის ასწავლის, მაგრამ ძირითადად ის სწავლობს, ანუ, იღებს გამოცდილებას.

რა გამოვიდა? თურმე საზოგადოების მთავარი შემადგენელი ურთიერთობა, მთავარი ელემენტი ყოფილა განათლება და განათლების ურთიერთობა. ჩვენ ყველაფერს და ყოველთვის ვსწავლობთ. თუკი ვერ ვსწავლობთ, მაშინ მარგინალები ვართ და როგორც ვსწავლობთ, ისეთი ადგილი გვიკავია კონკრეტულ საზოგადოებაში.

რაც შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, ვფიქრობ, მათი საფუძველიც განათლებაა, ოღონდ, უარყოფითი ნიშნით: ჩვენ ვყიდულობთ იმას, რის გაკეთებასაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ ვისწავლით.

ისტორია იმისა, თუ როგორ დავინწყეთ იმის ყიდვა, რის გაკეთებასაც ვერ ვსწავლობთ, იწყება გაცვლით - საზოგადოების წევრები ერთმანეთს უცვლიან, რაც

უკეთესად გამოსდით. მაგალითად, ნებისმიერ ძუძუმწოვართა საზოგადოებაში, ვინც უკეთესად ისწავლა ნადირობა, ის უცვლის ნანადირევს ნაშიერების აღზრდაში იმას, ვინც უკეთესად ისწავლა ნაშიერების აღზრდა.

შესაბამისად, ნებისმიერი საზოგადოება, რომელიც გამოცდილებაზეა დამყარებული, განათლებითი ურთიერთობებისგან შედგება. საზოგადოების სირთულეზეა დამოკიდებული, დაეშენება თუ არა განათლებით ურთიერთობებს ეკონომიკური ურთიერთობები.

სწორედ ასე ვლინდება განსხვავება რთულ და მარტივ საზოგადოებებს შორის: იქ, სადაც გამოცდილების გაცვლა ხდება, უფრო მაღალი ორგანიზაციის საზოგადოებაა, ვიდრე იქ, სადაც ეს არ ხდება. ვიდრე იქ, სადაც ეს არ ხდება. თითქოს თავს იჩენს დაპირისპირება მტაცებლებსა და ბალახისმჭამელებს შორის, თუმცა ადამიანთა და სხვა მტაცებლებთა შორის ის განსხვავებაა, რომ ადამიანების სამყაროში გაცვლისას იმდენად იზრდება ადამიანთა საზოგადოების სირთულის გამო ის სფეროები, რომლებშიც

წარმატებისთვის სპეციალიზაციაა საჭირო, ისინი სიმბოლურ მედატორს - ფულს - რთავენ. ფული გაცვლის აბსტრაქირებას ახდენს, სულ ერთია, ეს აბსტრაქირება ფულის ერთეულის რეალურ ღირებულებაზეა დამყარებული თუ საზოგადოების შეთანხმებაზე: ფული ადგენს ღირებულებას, რომელიც ნებისმიერი გაცვლის საფუძველი ხდება და ამით განათლებითი ურთიერთობების შეუძლებლობა აღმოიფხვრება:

როგორც ზემოთ მოგწერე, გაცვლა იწყება იქ, სადაც ჩნდება მოთხოვნილება სპეციფიკური განათლების პროდუქტზე, როდესაც არსებული საყოველთაო ტრენინგი ვეღარ უზრუნველყოფს იმ ყველაფრის წამოებას, რაც ყველას სჭირდება. ეკონომიკური ურთიერთობები ხდება ის ენა, რომელზეც ნებისმიერი საზოგადოების თარგმნა ხდება. შესაბამისად, ეს ენა გვაწვდის ინფორმაციას, როგორც მოვიქცეთ, რათა გვქონდეს წვდომა ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებულ ნებისმიერ პროდუქტზე, რომლის გაცვლაც შესაძლებელია, ანუ რომელიც სპეციფიკური განათლებითი ურთიერთობების შედეგს წარმოადგენს.

მაგრამ, ამის შესახებ, სხვა დროს ვისაუბროთ. ამჯერად დავუბრუნდეთ განათლებითი ურთიერთობების, როგორც ნებისმიერი საზოგადოების საწყის, „ელემენტალურ“ შემადგენელს.

სწავლა-სწავლების გარეშე წარმოდგენელია ნებისმიერი ურთიერთობა: ნებისმიერ ახალ ადგილას მოხვედრისას თქვენ იწყებთ ამ ახალი ადგილის წესების სწავლას და ა.შ. სწავლა-სწავლება იმდენად შემოსულია ჩვენს ყოველდღიურობაში, რომ ვერც ვამჩნევთ მის ყოვლისმომცველობას. თქვენ იკითხავთ: მერე რა, რომ ასეა? დიდი ამბავი! ეკონომიკური ურთიერთობები მაინც მთავარია. რას მაძლევს იმის ცოდნა, რომ საზოგადოების უმცირესი შემადგენელი ნაწილი (ისევე, როგორც წინადადება ენის) განათლებითი ურთიერთობაა?

საქმე ისაა რომ, თუ ეს მართლაც ასეა, ეკონომიკური ურთიერთობები ისე იწყობა და ისე არსებობს, როგორი განათლებითი ურთიერთობებიცაა კონკრეტულ საზოგადოებაში. ეს ბოლო წინადადება ალბათ გასაგებად რთული აღარ უნდა იყოს შენთვის ჯერ ერთი, იმიტომ, რომ წაკითხული გაქვს წერილები

თავსუფლების შესახებ და მეორეც, იმიტომ, რომ ახლა წაიკითხე მონობის შესახებ წერილები. მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროდ მიმაჩნია, კიდევ ერთხელ განვმარტო:

განათლების ურთიერთობები აწყობს დამოკიდებულების და იერარქიის სისტემას, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქიკურად; როგორი მოწყობილიცაა განათლების ურთიერთობა, ისეთივეა დანარჩენი საზოგადოებაც. თუკი განათლების სისტემა ცენტრალიზებულია, თუკი მასში არ არის თავისუფლების, ინიციატივის, ადგილობრივი ენთუზიაზმის ადგილი, მთელი საზოგადოებაც შესაბამისია და შესაბამისია ეკონომიკური ურთიერთობებიც. ცენტრალიზებული განათლების სისტემის შემთხვევაში საზოგადოებაში ოლიგარქიულ და ნახევრად-ოლიგარქიულ ეკონომიკურ სისტემას უნდა ველოდოთ. საპირისპიროდ, თუკი განათლების სისტემა დეცენტრალიზებულია, ანუ ლოკალური ინიციატივების ბევრი შესაძლებლობაა, სკოლები ადგილობრივი საზოგადოების ხელშია, ეკონომიკური სისტემაც დეცენტრალიზებული, ინოვაციაზე დამყარებული და მრავალაქტორიანი უნდა იყოს.

ჰოდა, რატომ გწერ ყოველივე ამას? თუკი გვინდა, საზოგადოებაზე და მასში მცხოვრებ ადამიანებზე გავლენის მოხდენა, სად უნდა მოვახდინოთ ჩარევა, სად უნდა ვიპოვოთ მოჭიდების წერტილი, რომელიც, სავარაუდოდ, საზოგადოების ყველა წევრზე მოახდენს გავლენას? პასუხი ნათელია, განათლებით ურთიერთობებში.

დაიწყეთ შესწავლა, როგორია ქვეყნის განათლების სისტემა და მიიღებთ მთელი ქვეყნის სურათს, დაწყებული ოჯახებიდან და დამთავრებული ეკონომიკური კავშირებით.

იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგექმნას, როგორ შეიძლება განათლებითი ურთიერთობებიდან მთელი საზოგადოების მოწყობამდე ახვიდე, სქემატურად აღგიწერ ამ გზას. თუმცადა ეს გზა „თავისუფლების შესახებ“ წერილებში უკვე აღვწერე. მამ ასე, გავიმეოროთ:

თუკი საგანმანათლებლო ურთიერთობები დეცენტრალიზებულია, ანუ კონკრეტულ მოქალაქეებს დიდი შესაძლებლობა აქვთ თავად დაგეგმონ და განახორციელონ საკუთარი და საკუთარი შვილების

საგანმანათლებლო ურთიერთობა, მოსალოდნელია, რომ ამ ადგილების მმართველობა მაქსიმალურად დამოუკიდებელია პოლიტიკური ცენტრისგან და ასევე ეკონომიკური საქმიანობაც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ადგილობრივ გადაწყვეტილებებზე და ინიციატივაზე: რატომ? იმიტომ, რომ სხვანაირად ვერ მოხდება საგანმანათლებლო ურთიერთობის თავისუფალი და დამოუკიდებელი განხორციელება: თუკი თეატრი, ტყე, მიწა, შენობები, რომლებიც სკოლის და სახლის გარშემოა, თავად სკოლაც არ ეკუთვნის ადგილობრივებს, როგორ უნდა დაგეგმონ და განახორციელონ მათ საგანმანათლებლო საქმიანობა დამოუკიდებლად? როგორ, თუკი ნებისმიერი ნაბიჯი შორს მყოფ პოლიტიკურ მმართველობას უნდა შეუთანხმონ? მეორე მხრივ, თუკი ეკონომიკური საქმიანობა მკარად რეგულირდება, როგორ უნდა დაგეგმოს ადამიანმა საკუთარი საგანმანათლებლო საქმიანობა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი?

მამასადამე, შეუძლებელია ნებისმიერი თავისუფლება, თუკი საგანმანათლებლო ურთიერთობები არ ეყრდნობა თავისუფლების პრინციპებს. და შეუძლებელია

ეკონომიკური თავისუფლება, თუკი საგანმანათლებლო ურთიერთობები არ არის თავისუფლებაზე დამყარებული.

და ბოლოს, რისთვის მოგიყევი ყველაფერი ეს, რა პრაქტიკული შედეგი შეიძლება ჰქონდეს ამ წერილებს/რჩევებს?

ვფიქრობ, პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა ისაა, რომ თუკი გინდა თანამოქალაქეების თავისუფლება და კეთილდღეობა, საგანმანათლებლო ურთიერთობების მოწესრიგებით და თავისუფლებაზე დამყარებით უნდა დაიწყო. აქედან მიხვდები შემდეგ, რა არის გასაკეთებელი. ხოლო ამის საპირისპიროდ დაწყებული ყველა მოძრაობა, წარუმატებლობისთვისაა განწირული. თუმცა ეს, მგონი, უკვე იცი.

e. Kugel, halber Durchmesser 4,5 cm
L. der Kugel 7,5 cm. Zylinderhöhe
2 cm. Wie groß ist die
Oberfläche?

7. Ein Kegel hat einen Durchmesser von 4 cm und eine Höhe von 3 cm. Berechne die Oberfläche des Kegelstumpfes, wenn die Höhe des Kegelstumpfes 2 cm beträgt. Wie groß ist die Oberfläche des Kegelstumpfes?